

სასწავლო გეგმა

ეროვნული სასწავლო გეგმა საქართველოში წარმოადგენს სწავლისა და სწავლების მრავალი ასპექტის ერთობლიობას, რომლის მეშვეობითაც ხდება ზოგადი განათლების, ეროვნული მიზნების დოკუმენტში წარმოდგენილი საგანმანათლებლო იდეების მიღწევა, რომლის მთავარი მიზანია აღზარდოს დამოუკიდებელი, შემოქმედებითი, საკუთარი შესაძლებლობის მუდმივად განვითარების შემძლე, ინფორმირებული და ამ ინფორმაციის ადეკვატურად გამოყენების უნარის მქონე, ბუნებრივი გარემოს დამცველი, კანონმორჩილი და ტოლერანტი ადამიანი. საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში არის მოსწავლე და მიღწეული შედეგი, მისი შეფასება გახდა მრავალკომპონენტური, სწავლების პროცესში აქცენტი გაკეთდა მოსწავლის მიერ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე (მნიშვნელოვანია არა იმდენად ის, თუ რის სწავლებას ცდილობს მასწავლებელი არამედ ის, თუ რა ისწავლა მან) გათვალისწინებული იქნება მოსწავლის ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობები და შესაფერისი ინტერესები. მთავარი ორიენტირი ხდება არა ცოდნის ოდენობა, არამედ ხარისხი. მნიშვნელოვანია არა მარტო რა ისწავლა მოსწავლემ, არამედ როგორ ისწავლა და როგორ შეუძლია ამ ცოდნის მოხმარება.

აქედან გამომდინარე, ძირითადი ყურადღება მიექცევა სასკოლო დისციპლინის უზრუნველყოფას, სკოლის საკადრო პოტენციალის განვითარებას, შინაარსობრივი და მეთოდოლოგიური საკითხების გააზრებას, სასწავლო და სააღმზრდელო პროცესის ორგანიზებას, სკოლის მოსწავლეთა ინტელექტუალური, ფიზიკური და შემოქმედი განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნას.

სასწავლო გეგმა ორიენტირებულია შედეგზე და ამ შედეგის დემონსტრირებაზე. ეროვნული სასწავლო გეგმის მიერ დასახული სტანდარტების შესრულება ითვალისწინებს ინფორმაციის გამოყენების შესაძლებლობების დემონსტრირებას. მოსწავლემ არა მარტო შეძლოს აჩვენოს ის, რომ გარკვეულ ინფორმაციას ფლობს, არამედ ისიც, რომ მას შეუძლია ამ ინფორმაციის ეფექტურად და ზნეობრივი პრინციპების გათვალისწინებით გამოყენება.

საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება

ზოგადი განათლება სკოლაში იყოფა სამ საფეხურად: დაწყებითი, საბაზო და საშუალო. დაწყებითი მოიცავს I-VI, საბაზო VII-IX, საშუალო X-XII კლასებს.

დაწყებითი საფეხურის ძირითადი ამოცანებია:

- ა) საგანთა თანამიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა;
- ბ) საბაზისო უნარების - წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა;

გ) სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ცნობისმოყვარეობის ცოდნისმოყვარეობაში გადაზრდა და მოსწავლის მომზადება საბაზო საფეხურისთვის.

ჩამოყალიბოს მოსწავლეს საფუძვლები შემდგომ, საბაზო საფეხურზე ეფექტურად სწავლისთვის;

საბაზო საფეხურის ძირითადი ამოცანებია:

● დაეხმაროს მოსწავლეს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში;

● მოსწავლეს ჩამოყალიბოს წინა პირობები მომავალი არჩევანისთვის: აპირებს თუ არა

სწავლის გაგრძელებას მომავალში და, თუ აპირებს, რა ფორმით;

● შეუქმნას მოსწავლეს პირობები იმ უნარ-ჩვევების განსავითარებლად, რომლებიც

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთელი ცხოვრების განმავლობაში.

საშუალო საფეხურის ძირითადი ამოცანებია:

● შეუქმნას მოსწავლეს სათანადო პირობები საერთაშორისო სტანდარტის მქონე განათლების

მისაღებად;

● შეუქმნას მოსწავლეს წინაპირობები იმისათვის, რომ მან სწორად აირჩიოს თავისი

მომავალი განვითარების გზა. შეძლოს გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება და საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი ღირებულებების შესაქმნელად.

გააგრძელოს სწავლა უმაღლეს სასწავლებელში, ან ჩაებას შრომით საქმიანობაში.

საგნის/საგნობრივი ჯგუფის კათედრა

სკოლაში ფუნქციონირებს ხუთი საგნის / საგნობრივი ჯგუფის კათედრა, რომელშიც გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო საგნები:

- მათემატიკის; ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების;
- ქართული ენისა და ლიტერატურის და საზოგადოებრივი მეცნიერებების;
- დაწყებითი კლასების;
- უცხოური ენების;
- სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრა;

საგნის/საგნობრივი ჯგუფის კათედრის თავმჯდომარის არჩევა ხორციელდება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში როტაციის წესით კათედრების სხდომაზე;